თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №42

27 აგვისტო, 2018 წელი

ქ. თეთრიწყარო

ქალაქ თეთრიწყაროში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების წერტილების სარგებლობის უფლებით ქირავნობის წესით გადაცემის თაობაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე - 2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122 -ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბერის N669-ე დადგენილების 21-ე, 22-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე.

მუხლი 1.

ნება დაერთოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს მიიღოს გადაწყვეტილება ქალაქ თეთრიწყაროში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების 323 ერთეული ბოძის წერტილის შპს ,,მაგთიკომისთვის“ 15 (თხუთმეტი) წლის ვადით პირდაპირი წესით, პირობებიანი სარგებლობის უფლებით, ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზნით ქირავნობის წესით გადაცემის თაობაზე და განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2.

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში, (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

TETRIWSKARO MUNICIPALITETIS SAKREBULO * 230869254 *